899.962.1(09) -1806-
ი-546
-1806-

ტირაჟი 100

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

899.962.1(09)
ი-546

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინგოროყვა ნანა

ასპექტური მოღვაწეობის ასახვა ძველ ქართულ მწერლობაში

10.01.01. – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ხინთიბიძე ელგუჯა

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. კიკნაძე ზურაბ
(10.01.09)
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. სულავა ნესტან
(10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის 16 ოქტომბერს 14 საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს
(P10.01.C N5) სხდომაზე

380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
380043, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №11.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის ----- ----------

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ტაბიძე

-1816-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა:</u> საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების, სამონასტრო ასკეტური ცხოვრების ფორმირების ხანგრძლივი და რთული პროცესი მრავალმხრივი კვლევის საგანია. დიდი ხანია ქართული აგიოგრაფია მეცნიერული კვლევისა და შესწავლის სფეროა, მაგრამ არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ასკეტური მოღვაწეობა საგანგებო კვლევის საგნად იქცა. უკვე ამ სფეროშიც შეიქმნა ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მაგრამ შესასწავლი და გასაანალიზებელი კიდევ ბევრია.

<u>კვლევის საგანი და მიზანი:</u> ქართული სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება-განვითარების თვალსაზრისით განვიხილავთ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებშია დაცულ მასალას. სამეცნიერო ნაშრომები საკითხის სხვადასხვა მხარეს განიხილავენ. ნაშრომის მიზანია, გააშუქოს რამდენიმე საკითხი, რასაც მოიცავს ასკეტური მოღვაწეობის ასახვა ძველ ქართულ მწერლობაში. მონაზვნობა არ იყო საყოველთაო ქრისტიანული იდეალი, მაგრამ ვინც ამ გზაზე შედგომას აირჩევდა, მკაცრად ორგანიზებული სამონასტრო ცხოვრების წესებს უნდა დამორჩილებოდა. განვიხილავთ ასკეტური თვითაღკვეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმის, მორჩილების აღსრულებას ქართული აგიოგრაფიული მწერლობის მიხედვით და მასთან დაკავშირებულ საკითხებს - ურჩობასა და შემცოდე ბერთა დასჯას; საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული „საღმრთონი წესნი და განგებანი“ სამონასტრო ცხოვრების არც ერთ მომენტს არ ტოვებს გაურკვეველს. განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში არსებობდა შემცოდეთა დასჯის გარკვეული ფორმები. ნაშრომის ორი უკანასკნელი თავი ეხება ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ქართულ რედაქციებს. შესწავლილია და გამოქვეყნებულია „ასკეტიკონში“ გაერთიანებული „ეპიტიმიების“, ეფრემ მცირის თარგმანით, „კანონნი ბრალეულთანის“ - ტექსტი.

<u>ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები:</u> ნაშრომში ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების საფუძველზე ახლებურადაა დასმული და გაანალიზებული ასკეტური მოღვაწეობის ასახვის